

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
34 03	დევენილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	685.0	685.0	110.6	16.1	0.0

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:**

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ პარტნიორი და დაინტერესებული უწყებების აქტიური ჩართულობით შეიმუშავა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის“ სამუშაო ვერსია, რომლის დამტკიცება მოხდა 2018 წლის 15 თებერვალს საქართველოს მთავრობის N404 განკარგულებით.

აღნიშნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი საქმიანობაა დევნილთა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ხელშეწყობა, რა მიზნითაც სააგენტო ახორციელებს „დევენილთა პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამას.“ პროგრამის ფარგლებში 2017 წლის ბოლოს გამოცხადდა განაცხადთა საშემოდგომო მიღება, რომელიც 22 დეკემბერს დასრულდა. საშემოდგომო მიღებაზე ჩარიცხულ დევნილთა, ჯამში 235 განმცხადებლის, განაცხადების განხილვა განხორციელდა საანგარიშო პერიოდში. დაკმაყოფილდა 213 დევნილის მოთხოვნა, ხოლო უარი ეთქვა 22 განმცხადებელს.

საანგარიშო პერიოდში სააგენტომ დონორ ორგანიზაციასთან, - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტი “ზრდა საქართველოში,“ ერთად შეიმუშავა საგრანტო პროგრამა სამინისტროს სახლის შესყიდვის პროგრამის ფარგლებში განსახლებული დევნილებისათვის. პროგრამის ფარგლებში მინიმუმ 20 დევნილისათვის მოენციობა 240

კვ.მ. სასათბურე მეურნეობა. საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა განაცხადების მიღება, რომელიც 30 აპრილს დასრულდება.

საანგარიშო პერიოდში სააგენტომ დაიწყო სამი საინფორმაციო კამპანია, რომელთა ფარგლებშიც ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში (2 შეხვედრა), გაიგზავნა მოკლექტესტური შეტყობინებები დევნილებთან (სულ 100202 შეტყობინება), ასევე სააგენტომ შეარჩია მოხალისეები საინფორმაციო კამპანიისთვის, რომელთა ტრენინგი და საველე ვიზიტები II კვარტალში დაიგეგმა. გარდა ამისა, სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი ბეჭდური საინფორმაციო მასალების დასაბეჭდად.